თბილისიდან სულ რაღაც 170 კმ-ში, კახეთში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, უნიკალური ჭაჭუნას აღკვეთილი მდებარეობს, რომელიც მრავალფეროვანი ლანდშაფტების წარუშლელი შთაბეჭდილებებით აგავსებთ.

ჭაჭუნას აღკვეთილი გამორჩეული ადგილია აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც საერთაშორისო მნიშვნელობისაა, მაღალი ღირებულების მქონე ბუნებრივი მემკვიდრეობით, ტუგაის ტიპის ჭალის ტყით, არიდული და სემიარიდული ეკოსისტემითა და ბიომრავალფეროვნებით.

აქ შესაძლებელია მოაწყოთ დაუვიწყარი ლაშქრობა, დააკვირდეთ გადამფრენ, მობუდარ და ლეშიჭამია ფრინველებს, მოაწყოთ ფოტომოყვარულთა ტური ან / და დაკავდეთ სპორტული თევზაობით.

ჭაჭუნას აღკვეთილი 1996 წლიდან აღკვეთილის სტატუსს ატარებს. მისი საერთო ფართობია 4 697 ჰექტარი. მისი შექმნის მიზანი საერთაშორისო მნიშვნელობის, მაღალი ღირებულების მქონე ბუნებრივი მემკვიდრეობის, მდინარე ივრის ჭალის და ასევე ფართოფოთლოვანი, მეჩხერი ტყეების შენარჩუნებაა. ჭაჭუნას აღკვეთილი ზურმუხტის ეკოლოგიურ ქსელში შედის.



ქ. დედოფლისწყარო, ბარათაშვილის ქ. N5

+995 544 33 44 33

info@parks.ge

ჭაჭუნას აღკვეთილი / Chachuna Managed Reserve

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

www.nationalparks.ge

საქართველოს ეროვნული პარკები

ჭაჭუნას ეროვნული პარკი



ეკოტურიზმი

ჭაჭუნას აღკვეთილში წლის ნებისმიერ დროს შესაძლებელია ისიამოვნოთ:

- სალაშქრო ტურით
- ფოტომოყვარულთა ტურით
- ველო ტურით
- ფრინველებზე დაკვირვებით (Birdwatching)
- სპორტული თევზჭერით

ჭაჭუნას აღკვეთილის მარშრუტები:

- დალის მთის წყალსაცავი
- „ლეშიჭამია ფრინველების რესტორანი“, სამზერი, საპიკნიკე
- ბერთა სადგომი

ღამის გათევა შესაძლებელია, აღკვეთილის ტერიტორიაზე არსებულ 3 ტურისტულ თავშესაფარში.





ჭაჭუნას აღკვეთილის ბიომრავალფეროვნება

ჭაჭუნას აღკვეთილი გამოირჩევა მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით. მდინარე ივრის გაყოლებაზე იმოგზაურებთ იშვიათი ტიპის ჭალის ტყეში, ხოლო მის მიმდებარე გორაკებსა და ტერასებზე სხვადასხვა სახის ფართოფოთლოვან ტყეს დაათვალიერებთ.

აქ მრავლადაა საქართველოს „წითელი ნუსხის“ მცენარეები, რომელთაგან აღსანიშნავია ულამაზესი საკმლის ხის კორომები. ჭალის ტყეების აბსოლუტური დომინანტი კი მთრთოლავი ვერხვია.

ჭაჭუნას აღკვეთილის ბუნებაში ბინადრობენ: მურა დათვი, ტურა, მგელი, ლელიანის კატა, ფოცხვერი, მაჩვი, მაჩვზღარბა, წავი, გარეული ღორი, გარეული კურდღელი და სხვა.

ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულებს კი აქ შესაძლებლობა გაქვთ, დააკვირდეთ შავარდენს, მიმინოს, კაკაბს. ორბებს და ფასკუნჯებს საცხოვრებლად კლდეებში არსებული გამოქვაბულები შეურჩევიათ, ბექობის არწივი მუხის ხეზე, სვავი კი ღვიის ხეებზე ბინადრობს. ჭაჭუნას აღკვეთილი ულამაზესი ფრინველის დურაჯის მნიშვნელოვანი საარსებო გარემოცაა.

ქვეწარმავლებიდან გვხვდება გიურზა, რომელიც საქართველოში არსებული ყველაზე შხამიანი გველია. მოგზაურობისას გადაადგილდით ფრთხილად, იმოძრავეთ მხოლოდ გაკვალულ ბილიკზე და დააკვირდით, რომ შემთხვევით ფეხი არ დაადგათ მას, სხვა შემთხვევაში გიურზა აგრესიული არ არის და მისი თავდასხმის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

თუ კი გადაწყვეტთ თავი გამოსცადოთ სპორტულ-სამოყვარულო თევზაობაში, მდინარე იორში ბინადრობს ლოქო, მურწა, წვერა, შამაია და სხვა.



ახლომდებარე ტურისტული ობიექტები

ვაშლოვანის ეროვნული პარკი | ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო და უნიკალური დაცული ტერიტორია საქართველოში.

ხორნაბუჯის ციხესიმაგრე | V საუკუნის ძეგლი, დაარსებულია ვახტანგ გორგასლის მიერ.

წმინდა ელია თეზბითელის სახელობის ეკლესია ელიას მთაზე | V-VI საუკუნეების ისტორიული ძეგლი.

სერაფიმე საროველის სახელობის გუმბათოვანი ტაძარი | XVIII საუკუნის ძეგლი.

ნიკო ფიროსმანის სახლმუზეუმი სოფელ მირზაანში | საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, გენიალური, საერთაშორისოდ აღიარებული მხატვარი. სახლმუზეუმში დაცულია ფიროსმანის ნახატების ორიგინალები.

